



საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1393 2018 წლის 11 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს იუსტიციის
სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე

„ღია მმართველობის პარტნიორობის გლობალური სამიტის“
ორგანიზების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს
მთავრობის 2018 წლის 28 მაისის №1201 განკარგულების საფუძველზე,
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი
ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს
ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის
შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საქართველოს მთავრობის
სარეზერვო ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოუყოს
1 580 000 (ერთი მილიონ ხუთას ოთხმოცი ათასი) ლარი.

პრემიერ-მინისტრი



მამუკა ბახტაძე